საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7590/01
07/08/2020

7590-01-2-202008072103

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“

მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N99

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 3 აგვისტოს N12102 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ტერიტორიაზე, სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენები) ინსინერაციის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

თქვენ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე ამჟამად ფუნქციონირებს ინსინერატორი, რომელიც ახალი ინსინერატორის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ დარჩება ამავე ტერიტორიაზე და მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ამასთან სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვინაიდან არ არის გათვალისწინებული არსებული ინსინერატორის ახალი ინსინერატორით ჩანაცვლება, პროექტი განხილული იქნა ახალ საქმიანობად, რომელიც წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება).

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 29 იანვარს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის და საცავის ნარჩენების საწვავი ღუმელის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია N11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ზემოაღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N2-148 ბრძანებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მიერ დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ძველი ინსინერატორის ახლით ჩანაცვლებას, საქმიანობა სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის“ მიერ დაგეგმილია იმავე ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე განთავსებულია უკვე არსებული ინსინერატორი, ამასთან, არსებული ინსინერატორის გამოყენება მოხდება მხოლოდ

საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო აღნიშნულ პროექტზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს დოკუმენტაციის წარმოდგენას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე